

2015 წლის 01 დეკემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.რ.საპრ.№2-15 (CMR 150 212 232) ხელშეკრულებაზე

თბილისი

15.08.2016წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის მაია ქალიაშვილის სახით, ერთი მხრივ და შპს „პროექტირება, მშენებლობა, ექსპერტიზა“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსი ბურდულაძის სახით, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს 2015 წლის 15 აგვისტოს N6315-2 მოხსენებითი ბარათის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.5 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე, საავტომობილო გზის ორივე მიმართულებით (3 კილომეტრის მანძილზე), მომსახურების კომპლექს(ებ)ის საავტომობილო გზასთან მიბმის მიზნით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მონაკვეთებზე შემანელებე-ამაჩქარებელი ზოლის მოწყობისათვის, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გაწევის შესახებ მხარეთა შორის 2015 წლის 01 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.რ.საპრ.№2-15 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების მოქმედების ვადად 2016 წლის 15 აგვისტოს ნაცვლად განისაზღვროს 2016 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.

2. ზემოხსენებული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.რ.საპრ.№2-15 ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

3. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

4. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

5. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე
მაია ქალიაშვილი



მიმწოდებელი
შპს „პროექტირება, მშენებლობა,
ექსპერტიზა“
დირექტორი
ალექსი ბურდულაძე

